საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

# სამუშაო ბარათი

წარმოგიდგენთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2013 წლის გაზაფხულის სამუშაო ბარათს. ამ კვარტალურ დოკუმენტში მოცემულია ქვეყნის იმ ძირითადი სფეროების შემაჯამებელი შეფასებები, რომელთა დახვეწა და განვითარება ქვეყნის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გარანტი იქნება.

აღნიშნულ შეფასებებს თან სდევს ზოგადი რეკომენდაციები, რომლებიც შეიცავს იმ პრობლემების მოკლე მიმოხილვას, რომელთაც სამომავლოდ მეტი ყურადღების უნდა დაეთმოს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: nana@transparency.ge.

ჩვენი კვლევების ანგარიშები, განცხადებები და ბლოგპოსტები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: http://transparency.ge.

ჩვენს საქმიანობას ასევე თვალყური შეგიძლიათ მიადევნოთ სოციალურ ქსელებში:

Twitter: http://twitter.com/TIGeorgiaGeo
Facebook: http://www.facebook.com/TIGeorgia


თბილისი / Tbilisi
რუსთაველის გამზ. 26,III სართ. , 0108
ტელ.: +(995 32)292 14 03
ფაქსი: +(995 32) 292 02 51
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

26 Rustaveli Ave,III floor, 0108
Tel: +(995 32)292 14 03
Fax:+(995 32) 292 02 51
E-mail: info@transparency.ge

ბათუმი / Batumi
26 მაისის ქ. 36/ჯინჭარაძის 10, 6010
ტელ./ფაქსი:+ (995 422 ) 29 44 88
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

36, 26 May Str./10 Jincharadze str. 6010
Tel./Fax:+ (995 422) 29 44 88
E-mail: info@transparency.ge

ზუგდიდი / Zugdidi
ცოტნე დადიანის ქ. 3, 2100,
ტელ./ფაქსი: +(995 415) 22 37 20
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

3 Tsotne Dadiani Str., 2100
Tel./Fax.: +(995 415) 22 37 20
E-mail: info@transparency.ge

ქუთაისი / Kutaisi
9 აპრილის ქ. 10, 4600
ტელ./ფაქსი: +(995 431) 29 26 54
ელ-ფოსტა: info@transparency.ge

10, 9 April Str, 4600
Tel./Fax.: +(995 431) 29 26 54
E-mail: info@transparency.ge

# 1. ფარული თვალთვალი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლაც აქვს დამონტაჟებული ე.წ. „შავი ყუთები“ მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების სერვერებზე.

- „შავი ყუთების“ მეშვეობით სამართალდამცავ ორგანოებს სატელეკომუნიკაციო სისტემით განხორციელებული ყველა კომუნიკაციის მოსმენა შეუძლიათ.
- სატელეკომუნიკაციო კომპანიების წარმომადგენლებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცნობილია, რომ სახელისუფლებო ორგანოებს ერთდროულად 21,000 მობილური ნომრის მოსმენა შეუძლიათ.
- მოსმენა პირდაპირი წვდომის შედეგად ხორციელდება. სამართალდამცავ ორგანოებს კომპანიების დახმარება არ ესაჭიროებათ.

კანონის თანახმად, ფარული თვალთვალი და მიყურადება მხოლოდ მოსამართლის ნებართვით არის ნებადართული, თუმცა მოსამართლეები, როგორც წესი, არ არიან ინფორმირებულნი გამოძიების დეტალების შესახებ და მათ არც ფარული მიყურადების შედეგების შესახებ აცნობებენ. წარსულში მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, ბრმად იძლეოდნენ ფარული თვალთვალისა და მოსმენების შესახებ პროკურატურის განაცხადებზე ნებართვებს. უცნობია, რამდენად აქვს ამას კვლავაც ადგილი.

ქართული საკანონმდებლო ჩარჩო არ იძლევა სათანადო გარანტიებს და ვერ აკმაყოფილებს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციით განსაზღვრულ მინიმალურ სტანდარტებს ფარული მიყურადების შესახებ. კერძოდ, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მიყურადებისათვის დასაშვებ ვადებს, პირთა წრეს, დანაშაულთა ჩამონათვალს და მონაცემების გაზიარება-შენახვისა და წაშლის პროცედურებს.

*რეკომენდაციები:*

- შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეკომუნიკაციო კომპანიების ინფრასტრუქტურიდან უნდა ამოიღოს მისთვის კუთვნილი *შავი ყუთები.* მოქალაქეების საკომუნიკაციო მონაცემებზე პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომის არსებობა საფრთხეში აგდებს სასამართლოს დამოუკიდებელი ზედამხედველობის შესაძლებლობას მოსმენებზე/მიყურადებაზე და ქმნის უფლებამოსილების გადამეტების რისკს.
- კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს, რათა ასახოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ფარული მიყურადების სფეროში გაწერილი სტანდარტები.
- მთავრობამ უნდა შექმნას ზედამხედველობის ძლიერი მექანიზმები, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ფარული თვალთვალისა და მონაცემთა შენახვის პროცესზე გამოიყენებს. ზედამხედველობის ეს მექანიზმი საკმარისი რესურსებითა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უნდა სარგებლობდეს.
- მთავრობამ, საკუთარი ინიციატივით, რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს ზოგადი ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული სამეთვალყურეო საქმიანობის შესახებ. კერძოდ: იმ საქმეების ოდენობა, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა თვალთვალი და მიყურადება, სასამართლოს მიერ გაუცემელ ნებართვათა ოდენობა, ფარული მეთვალყურეობის სხვადასხვა სახეები და მათი ხანგრძლივობა, იმ პირების ოდენობა, ვისაც შეეხო თვალთვალი და მიყურადება, სისხლის

სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებსაც უკავშირდებოდა ასეთი საქმიანობის განხორციელება.

## 2. ცვლილებები საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის გათვალისწინებულ სანქციებში

„ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონის არსებული რედაქციის თანახმად, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების უკანონო შესვლა ისჯება ჯარიმით ან ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

- წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად კი აღნიშნული ქმედების ჩადენა პირველ ჯერზე არ გამოიწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას და ითვალისწინებს ადმინისტრაციული წესით 400 ლარის ოდენობით დაჯარიმებას;
- სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაში, თუ პირი განმეორებით ჩაიდენს მსგავს დანაშაულს, თუმცა ამ დროსაც სანქციად ისევ ჯარიმაა გათვალისწინებული;
- ახალი ინიციატივით, აღნიშნულ დანაშაულზე თავისუფლების ერთ წლამდე აღკვეთა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაშია გათვალისწინებული, თუ ის ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (არაერთგზის, ძალადობით ან ძალადობის მუქარით და ა.შ.), მაშინ, როდესაც მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

*რეკომენდაციები:*
აშკარაა, რომ ცვლილებების პაკეტი არსებული სანქციების რადიკალურ ლიბერალიზაციას ითვალისწინებს, რასაც მივესალმებით, თუმცა ვფიქრობთ, რომ:

- მსგავსი ცვლილებები არამხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიების უკანონო გადაკვეთას, არამედ ქვეყნის საზღვრის ნებისმიერ მონაკვეთზე უკანონო მიმოსვლასაც აუცილებლად უნდა შეეხოს. ამ სახით კანონის დამტკიცების შემთხვევაში მივიღებთ მდგომარეობას, როდესაც ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრის უკანონო გადაკვეთის დროს პირს დაეკისრება 400 ლარის ოდენობის ადმინისტრაციული ჯარიმა, ხოლო სახელმწიფო საზღვრის სხვა მონაკვეთის გადაკვეთისას – სამიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა, რაც უდავოდ არათანმიმდევრულია. აქედან გამომდინარე, აუცილებელი და მიზანშეწონილია მოხდეს ოკუპირებულ და ჩვეულებრივ ტერიტორიებზე საზღვრის უკანონო გადაკვეთის შესახებ კანონმდებლობის ჰარმონიზაცია და მისი ერთგვაროვანი ლიბერალიზაცია.

## 3. ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში

გრძელდება შრომის კოდექსის რეფორმირების პროცესი. პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო ცვლილებები, თუმცა – ცხრა მუხლის გამოკლებით. აღნიშნული მუხლები წარმოადგენს ძირითად ბირთვს, იმ რეფორმისა, რომლის ინიციატორიც არის იუსტიციის სამინისტრო. მუხლების მეორე მოსმენით კენჭისყრა კოდექსის დანარჩენი ნაწილის მესამე მოსმენის დროს იგეგმება. ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ პარლამენტი მიაღწევს შეთანხმებას ამ უმნიშვნელოვანეს რეგულაციებთან

მიმართებაში. ცვლილებებთან დაკავშირებით ჩვენმა ორგანიზაციამ არაერთხელ წარმოადგინა საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც ეხებოდა ვადიან ხელშეკრულებებს, კოლექტიური და ინდივიდუალური შრომითი კონტრაქტებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურებას, გაფიცვა/ლოკაუტის უფლების წარმოშობა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კანონპროექტის განხილვის პროცესში ავტორებმა გაითვალისწინეს უამრავი, მათ შორის ჩვენი შენიშვნები, თუმცა ჯერ კიდევ პრობლემურია საკითხები:

- კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავისას გაფიცვის უფლება გაუმართლებლად შეზღუდულია;
- ზეგანაკვეთური შრომის ალტერნატიული გზით ანაზღაურების არ არსებობა გაუმართლებლად ზღუდავს დამსაქმებელს;

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პარლამენტში შემდეგი განხილვებიც დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობის რეჟიმში გაგრძელდება. შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება ქვეყნის საჯარო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია და მისი რეფორმის დროს აუცილებელია მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესი, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ქვეყანაში შრომით გარემოს, სამუშაო ადგილების შექმნას, საინვესტიციო კლიმატს, ადამიანის უფლებებს და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.